

#2 (23), თებერვალი, 2009

### იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)

ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ  
გამოცემას ამზადებს  
სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

## სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ამუშევს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



### სტუმრად „ქედელში“

სოფელი ქედელი – სიღნაღიდან დაახლოებით 2 კილომეტრში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე გაშლილია. 60-იან წლებამდე დიდი სოფელი ყოფილა, ყვებიან ადგილობრივები, რომლებიც იმასაც ამატებენ რომ ამ სოფელს ოდესღაც ქუჩებიც კი „ყოფდა“. ვერ გეტყვით რომელ ქუჩაზე ადის ბოდბის მონასტრიდან ხელმარჯვნივ და ზევით ოღრო-ჩოღრო და მიხვეულ-მოხვეული გზა, მაგრამ ერთი რამ თვალიშისაცემია – სოფლის დასაწყისში თითზე ჩამოსათვლელი სახლი დგას, გზას კიდევ ცოტათი თუ გააგრძელებთ – დაინახავთ სახლს, მის გვერდით კი უფრო დიდ მშენებარე სახლს

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

## სტუმრად „ქედელში“

(გაგრძელება)



სახლის ბინადარი სტუმრად მისულეებს ჯერ გაკვირვებულნი და გარინდულნი გვიცქერენ, მერე ახლოს მოდიან, ხელს გვართმევენ და გვიღიმიან... ისინი სათემო ორგანიზაცია „ქედელის“ ბენეფიციარები არიან.

თემის პრინციპზე დაფუძნებული ორგანიზაცია „ქედელი“, რომელიც სოფლის სახელს ატარებს, 2000 წელს შეიქმნა.

ორგანიზაცია ზრუნავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზრდილებზე, უზრუნველყოფს მათ არამარტო თავშესაფრით და საკვებით, არამედ ისეთი გარემოს შექმნას ცდილობს, რომელიც ბენეფიციარების უნარების რეალიზებასა და მათ ინდივიდუალურ წინასვლას უწყობს ხელს.



საკუთარი შესაძლებლობებით, უცხოელი მეგობრებისა და დონორების დახმარებით ორგანიზაცია ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება – ჯერ შეისყიდეს ძველი სახლი, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, კარგად შეისწავლეს თუ რა საჭიროებების წინაშე აღმოჩნდებოდნენ – კარგა ხანს ეცნობოდნენ სოციალური თერაპიის სახლის პროგრამებს და მიდგომებს, შემდეგ უცხოეთში...



დაახლოებით 2003 წელს კი ბენეფიციარების მიღება დაიწყო. ისინი ახლა ათნი არიან, თითოეულს აქ მოსვლის თავისი ისტორია აქვს, თუმცა მათი უმეტესობა „ქედელამდე“ სხვადასხვა ინსტიტუციაში ცხოვრობდა... ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობით, სოციალური-თერაპიულ სახელოსნოებში შრომით, მხატვრული, მუსიკალური თერაპიით არიან დაკავებულნი. სახლიდან ხშირად ისმის



სხვადასხვა მუსიკალური ნაწარმოების ხმა, სხვადასხვა მუსიკალური საკრავის თანხლებით. თითოეულმა ბენეფიციარმა კარგად იცის როდის უნდა ააჟღეროს საკრავი. ისინი დიდი მონდომებით აკეთებენ ამას და სტუმრებსაც დიდი მონდომებით რთავენ სახელდახელოდ მოწყობილ კონცერტში – მათ საკრავებს თავად ურჩევენ და ურიგებენ... არამარტო სახელდახელო კონცერტზე, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში თითოეულმა მათგანმა კარგად იცის თავისი ფუნქცია – კედელზე გაკრულია მორიგეობის სია, რომელსაც დიდი რუდუნებით და პასუხისმგებლობით ასრულებენ, ერთმანეთის დახმარებაც არ ავიწყდებათ... სტუმრებსაც დიდი სიამოვნებით უწევენ მეგ ზურობას და ოთახებს ათვალაიერებინებენ. ოთახებს, რომლის კედლებზეც მათი უამრავი ნამუშევარია გამოფენილი. 2009 წლის ბოლოსთვის მშენებარე სახლიც დასრულდება (მშენებლობას გერმანული ორი ფონდი აფინანსებს) და კიდევ 10 ან თორმეტ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდს ექნება იქ ცხოვრების საშუალება. სახლის პირველ სართულზე სხვადასხვა სახელოსნო განლაგდება, სადაც ბენეფიციარები იმუშავებენ... ხისგან, თექისგან, სხვადასხვა მასალისგან ლამაზ ნივთებს შექმნიან... და რაც მთავარია, საკუთარი თავს „იპოვიან“... ეს მეორე სახლი იქნება, რომელსაც შესაძლოა მესამე მოჰყვეს – „ქედელის“ დამფუძნებლებს სათემო „სოფლის“ აშენება აქვთ განზრახული...

საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა

25 თებერვალს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის შესახებ, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიცია და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.


კონფერენციაში მონაწილეობდნენ პროფესიული საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები.

კონფერენციაზე გამომსვლელებმა ისაუბრეს როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებულ მდგომარეობაზე, ასევე არსებული მომსახურების სფეროს, კადრების განათლებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს მართვის გაუმჯობესების საკითხებზე.

წარმოდგენილი იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის ახლადშემუშავებული დოკუმენტი, რომლის სამუშაო ვერსია საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციამ 2008 წლის ბოლოს დაასრულა და გასაცნობად სფეროში მომუშავე პროფესიონალებსა და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს გადასცა. დოკუმენტი შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტები.

დოკუმენტში ასახულია ქვეყანაში ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული მდგომარეობა, სამომავლო ხედვები და განვითარების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ეფუძნება შემდეგ ფასეულობებს: ჰუმანურობა, ადამიანის ღირსების პატივისცემა, თანასწორობა,

ხელმისაწვდობა და შემწყნარებლობა. დოკუმენტი მოიცავს როგორც ფსიქიკური პრობლემების პრევენციის ღონისძიებებს (მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სახელმწიფო მართვის გაუმჯობესება), ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების მომსახურების გაუმჯობესებას. ისინი მომსახურებას უნდა იღებდნენ ნაკლებ შეზღუდულ გარემოში და საცხოვრებელთან ახლოს, საზოგადოების უსაფრთხოების გათვალისწინებით (ბალანსირებული მოვლა, ინტეგრაცია, თანმიმდევრულობა). შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაინტერესება გამოხატა დოკუმენტში ასახული ძირითადი მიდგომებისა და ხედვების მიმართ.



სემინარი ჟურნალისტებისთვის

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა ჟურნალისტებისთვის, 11-12 თებერვალს, სიღნაღში სემინარი გამართა. სადაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა სოციალური ზრუნვის სისტემების შესახებ



ინფორმაცია წარადგინა. კერძოდ, ინსტიტუტმა შეისწავლა ზრუნვის სოციალური მოდელები და პრობლემის ანალიზის შედეგად, საქართველოს სინამდვილისთვის ყველაზე ეფექტურ მოდელად სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სერვისის ერთობლივად მიწოდება მიიჩნია. სემინარზე ჟურნალისტებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ. მეორე დღეს ჟურნალისტები ესტუმრნენ და გაეცნენ სათემო ორგანიზაცია „ქედელის“ მუშაობას, მის ბენეფიციარებს.






**პრესის მონიტორინგი**

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით

სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ასევე პროგრამებს/პროექტებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ზრუნვის ამ ჯგუფებს და მათზე მზრუნველ – საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეხება. მონიტორინგისთვის შეირჩა ყოველდღიური, ყოველკვირეული შემდეგი ჟურნალ-გაზეთები – „რეზონანსი“ („კვირის რეზონანსი“, „თელი კვირა“), „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“ („კვირიდან კვირამდე“), „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

**პრესის აქტივობა**

იანვრის განმავლობაში გამოქვეყნდა 16 პუბლიკაცია ინფორმაცია. მათი განაწილება გამოცემების მიხედვით ასეთია:



**თემატური აქტივობა**

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას, საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა 4 პუბლიკაცია ინფორმაცია, ორგანიზაციის საქმიანობას ან მათ წინაშე არსებულ სიმწიფეებს 3 წერილი, სხვადასხვა პროგრამების/პროექტების შესახებ გამოქვეყნდა 2, ასევე უფლებების შესახებ 4 ინფორმაცია პუბლიკაცია, საცნობარო სტატისტიკური 5 მასალა დაიბეჭდა.



**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მცირე გრანტების პროგრამა**

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი**

2009 წლის დასაწყისიდან გეგმავს, „სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს შექმნის“ პროექტის ფარგლებში, მცირე გრანტების პროგრამის დაწყებას.

გრანტები გაიცემა ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარებისთვის. აღნიშნული პროგრამის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობა.

პროცესის მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გრანტის პოტენციურ მიმღებთა ჩართვა საგრანტო პირობების დახვეწაში.

**მოგმართავთ თხოვნით,** მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები და ხედვები თქვენი ორგანიზაციის ინსტიტუციონალური განვითარების საჭიროებების შესახებ (მაგალითად: მატერიალურ-ტექნიკური რესურსები; თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა. გთხოვთ დააკონკრეტოთ).

ინიციატივები მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე:  
[ia@civilin.org](mailto:ia@civilin.org)

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.